

საიდ. №72358/03

გ ა დ ა ო ვ ე ე ტ ი ლ ე ბ ა №70-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ი. გიქორაშვილი (თავმჯდომარე), გ. დუდუჩავა, მ. ბაკურაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ინტერკონტინენტალ გრეით ბრენდს ლღკ“-ის (Intercontinental Great Brands LLC.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №70-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 27 თებერვლის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №221/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „PHILADELPHIA“ (საიდ. №72358/03) დარეგისტრირება საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (29-ე და 30-ე კლასები).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 27 თებერვლის №221/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „PHILADELPHIA“ რეგისტრაციას არ ექვემდებარება, რადგან ფილადელფია ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქია და მომხმარებელს მიუთითებს საქონლის მხოლოდ გეოგრაფიულ წარმოშობის ადგილზე რის გამოც, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი კომპანია „ინტერკონტინენტალ გრეით ბრენდს ლლკ“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, სასაქონლო ნიშანი „PHILADELPHIA“ წლების მანძილზე გამოიყენება საქართველოში და ხანგრძლივი გამოყენების შედეგად შეიძინა განმასხვავებელუნარიანობა. აპელანტის პოზიციით, სიტყვიერი ელემენტი „PHILADELPHIA“, რომელიც შესრულებულია ლათინური და რუსული შრიფტებით რეგისტრირებულია საქართველოში 1996 წლიდან და მათი რეგისტრაციას ამ წლების განმავლობაში არ გამოიწვია ნეგატიური შედეგები. გარდა ამისა წლების მანძილზე საქპატენტის მიერ რეგისტრირებულია უამრავი სასაქონლო ნიშანი, რომელიც შეიცავს მხოლოდ გეოგრაფიულ აღნიშვნას. მაგალითად: „BELMONT“ – მოწ. № 10490, „MONTE CARLO“ – მოწ. № 20208, „HOLLYWOOD“ – მოწ. № 5672, „MONTCLAIR“ – მოწ. № 419 „MONTANA“ – მოწ. № 7527 და ბევრი სხვა. აპელანტის განმარტებით, აღსანიშნავია ისიც, რომ სიტყვიერი სასაქონლო ნიშანი “PHILADELPHIA” რეგისტრირებულია მსოფლიოს მასშტაბით, რის დასტურად დანართში წარმოდგენილია მოწმობების ნომრები და ქვეყნების ჩამონათვალი ანბანის მიხედვით, სადაც რეგისტრირებულია აღნიშნული სასაქონლო ნიშანი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 27 თებერვლის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №221/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „PHILADELPHIA“ (საიდ. №72358/03) დარეგისტრირებას საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად“.

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას შემდეგ გარემოებათა გამო: სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „PHILADELPHIA“ წარმოადგენს სიტყვიერ სასაქონლო ნიშანს. „ფილადელფია“ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ ცნობილ შტატს. აღნიშნული სასაქონლო ნიშანი შედგება, მხოლოდ საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის ადგილისაგან. აღნიშნული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს აღწერილობით სასაქონლო ნიშანს, ვინაიდან იგი არ შეიცავს სხვა განმასხვავებელ სიმბოლოებს (მაგ. გამოსახულებას) და მიუთითებს მხოლოდ საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის ადგილის შესახებ. გარდა ამისა, კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას, იმასთან დაკავშირებით, რომ განცხადებულმა სასაქონლო ნიშანმა საქართველოში ხანგრძლივი გამოყენების შედეგად შეიძინა განმასხვავებელუნარიანობა, რადგან აპელანტს არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებდა განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქართველოში ხანგრძლივად გამოყენების ფაქტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნის „PHILADELPHIA“ (საიდ. №72358/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

## გ ა დ ა ო ო ე კ ი ტ ა:

1. კომპანიის „ინტერკონტინენტალ გრეით ბრენდს ლღკ“-ის (Intercontinental Great Brands LLC.) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 27 თებერვლის №221/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციზე უარის თქმის შესახებ.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ი. გიქორაშვილი

წევრები:

გ. დუდუჩავა

მ. ბაკურაძე